

მანანა რაზმაძე

**ქართველი მწერლები არქეოლოგიური კვლევა-ძიების  
სათავეებთან  
(გიორგი წერეთელი)**

XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები უდიდეს ინტერესს იჩენდნენ საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების გამოვლენისა და შესწავლისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი წერეთელი – მწერალი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, კრიტიკოსი, ბუნებისმეტყველი და ამავე დროს ისტორიკოსი, არქეოლოგი. გიორგი წერეთელმა გარკვეული კვალი დატოვა ქართული არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარებაში და მისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება გიორგი წერეთელს იცნობდა როგორც კვალიფიციურ მკვლევარ-მეცნიერს, არქეოლოგს. V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის დავალებით მან შეისწავლა გელათის მონასტერში დაცული ისტორიული მასალები. გარდა ამისა, არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა გელათის მონასტრის ეზოში; აღმოაჩინა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ნიმუშები. გიორგი წერეთელი წერდა: „გელათის მონასტერი აშენებულია ფრიად ძველ ნანგრევთა ნატამალზე, რომელიც ცხადად გვიმტკიცებს, რომ აქ ჯერ კიდევ საუკუნეთა სიღრმეში ყოფილა რაღაც ქალაქი, რომლის კვალი დღესაც სჩანს გელათის მიდამოში.“ [17, გვ.11]

გ. წერეთლის მითითებით, აქ აღმოჩნდა: „ქვითკირის შენობათა კედლები“, „წყლის მილები გარშემოკირული“, „ქვის საწნახელი და ჭაჭის საქაჩავები“, „სარკოფაგი ქვითკირით შეხურული“, რომელსაც ჰქონდა მიმართულება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, თიხისა და „შუშის“ ჭურჭელთან ერთად (ეს უკანასკნელი, გ. წერეთლის სიტყვებით, უნდა ყოფილიყო „ძველებური საწყლე ან საღვინე შუშის ჭინჭილისა“). გიორგი წერეთელი სამარხს, მისი ორიენტაციის გათვალისწინებით, წინაქრისტიანულ ხანას მიაკუთვნებდა. გარდა ამისა, „ქვითკირის სასახლის“ ნანგრევებში აღმოჩნდა რამდენიმე რომაული მონეტა. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალ „კვალში“ გ. წერეთელი წერს: „ყოველმა ამან მე დამარწმუნა, რომ გელათის მონასტერზე ბევრათ ადრე ამ არემარის მიდამოში უნდა ყოფილიყოს მდიდრად დაშენებული ალაგი, რომლის კულტურა ბევრათ უფრო ძველი უნდა ყოფილიყოს ბიზანტიის კულტურაზე“ [17, გვ.12].

გიორგი წერეთელმა ხელახლა აღწერა გელათის მონასტერში დაცული ისტორიული ძეგლები – ხელნაწერები და ეპიგრაფიკული მასალა; ამასთან ერთად, მრავალი ახალი ეპიგრაფიკული ძეგლიც აღმოაჩინა. თავისი კვლევის შედეგები შეადარა სხვა მეცნიერთა ნაშრომებს, სადაც, როგორც ხუცური ანბანის შესანიშნავად მცოდნემ, ბევრი უზუსტობა შენიშნა. [20, გვ.82]

გელათის მასალების შესახებ გიორგი წერეთელმა გამოაქვეყნა საინტერესო მეცნიერული ნაშრომი, რომელიც დაიბეჭდა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების შრომებში. [23, გვ.223] მას თან ერთვის პროფ. ალ. ხახანაშვილის რეცენზია, სადაც აღნიშნულია გ. წერეთლის გამოკვლევის დიდი მეცნიერული მნიშვნელობა. ალ. ხახანაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, გიორგი წერეთლის დასკვნების სისწორე დამოწმებულია ისტორიული წყაროებით და ცნობილი არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის შენიშვნებით. [23, გვ.279]

გიორგი წერეთელს დიდი წვლილი მიუძღვის ყვირილის ხეობის სიძველეთა კვლევის საქმეში. ყვირილის ხეობამ მისი ყურადღება მიიპყრო როგორც ბუნებრივი პირობებით – მდებარეობით, წიაღისეულით, ასევე მდიდარი ისტორიული და არქეოლოგიური ძეგლებით. გიორგი წერეთელი ეთანხმება სტრაბონის ცნობებს, რომლის მიხედვით ყვირილის ხეობაში გადიოდა უძველესი გზა პონტოდან ბაქტრიამდე. [22, გვ.81]

1878-80-იან წლებში ყვირილის ხეობაში მოგზაურობის დროს გიორგი წერეთელმა აღწერა კაცხისა და მღვიმის მონასტრები, სავანის ბაზილიკა, ეხვევის ტაძრის ნანგრევები, აგრეთვე სხვა ტაძრებისა და სამლოცველოების ნაშთები. შეისწავლა ქართული წარწერები, ფრესკები, დაათარილა და გამოაქვეყნა ისინი. ყვირილის ხეობის კვლევის შედეგებს მან მიუძღვნა გამოკვლევა, რომელიც გამოქვეყნდა 1898 წელს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების შრომებში. [22, გვ.81]

გ. წერეთელმა ყურადღება გაამახვილა წინაქრისტიანული ხანის ძეგლებზეც. ყვირილის ხეობაში არქეოლოგიური დაზვერვების დროს დადასტურდა მისთვის საინტერესო მასალა. შორაპნის ციხესთან აღმოჩნდა ძველი წყალსადენის ნაშთები, სოფელ შორაპანთან – სამარხები (უკვე გაძარცვული), მოდინახეს ციხესთან (დაბა საჩხერე) – სამარხების კვალი, კერამიკისა და ლითონის ნივთები. [2, გვ.14] ყოველივე ამან გიორგი წერეთელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მან მცირე გამოკვლევა მიუძღვნა მოდინახეს ციხეს, რომელიც გამოაქვეყნა ჟურნალ „კვალში“ 1899 წელს. აღნიშნული ძეგლი გ. წერეთელმა პროკოფი კესარიელის მიერ მოხსენებულ

მოხირისის ციხედ მიიჩნია, [15, გვ.12] რამაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. [8, გვ.12] გიორგი წერეთელს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ქ. ქუთაისში, მდ. რიონის ნაპირთან, ახლანდელი წითელი ხიდის ახლოს აღმოჩენილი ძველი აბანო, ბაგრატიის ტაძრის ჩრდილოეთით დარღვეული სამარხის ნაშთები, ადრინდელი ბალის ტერიტორიაზე - როგორც ირკვევა, კოლხური კერამიკის ფრაგმენტები. [1, გვ.26; 2, გვ.14]

გ. წერეთლის დიდი ინტერესი გამოიწვია სოფ. საჩინო (ვანი) ახვლედიანების გორაზე სამარხებისა და ოქროს სხვადასხვა ნივთების აღმოჩენის ფაქტებმა. 1880 წლის 18 ნოემბერს V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელ სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში რიონის ხეობის ყორღანების შესახებ მან მოიხსენია 1865-1870 წლებში საჩინოში ნაპოვნი არქეოლოგიური მასალა, ([24, გვ.333] დანვრილებით იხ. : [21, გვ.82]).

დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი წერეთელს, სხვა საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, აჭარის მატერიალური კულტურის შესწავლის საქმეში. გ. წერეთელი მტკიცეწულად განიცდიდა თურქთა თითქმის სამსაუკუნოვანი დამანგრეველი ბატონობის შედეგად საქართველოს ამ ულამაზეს მხარეში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ჩამორჩენას. 1877-1878 წლებში გიორგი წერეთელი პეტერბურგის პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთის „Голос“-ის სპეციალური კორესპონდენტი იყო. მას ამ დროს, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში მოქმედ არმიაში ყოფნისას, შესაძლებლობა ჰქონდა თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ მიწაზე მცხოვრებთა მდგომარეობის გაცნობისა. იგი, როგორც სამხედრო კორესპონდენტი, ბათუმის, ქობულეთის და ფოთის მიდამოებიდან თვალს ადევნებდა ჯარების მოძრაობას. აქედანვე ეცნობოდა აჭარლებისა და ლაზების ცხოვრებას. [20, გვ.86] გარდა გაზეთ „Голос“-ისა, სტატიებს აქვეყნებდა თითქმის ყველა რუსულ ჟურნალსა და გაზეთში („Тифлисский Вестник“, „Кавказ“, „Новое обозрение“, „Обзор“). ამ წერილებში გიორგი წერეთელი გამოჩნდა, როგორც მაღალი რანგის ჟურნალისტი. აქ იგი ახერხებდა თავისი პატრიოტული ზრახვების მოხერხებულად გამოხატვასა და გადმოცემას ფელეტონების სახით. გიორგი წერეთელი ფელეტონებით მიანიშნებდა ჩვენი ქვეყნის მდიდარ ისტორიულ წარსულზე, რითაც ხელს უწყობდა ქართული კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციას.

ომის შემდგომ განახლდა ინტერესი აჭარის ისტორიისა და არქეოლოგიური ძეგლებისადმი. ამის მიზეზი გახდა ის შემთხვევითი აღმოჩენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ მხარეში. სახელდობრ, 1879 წელს სოფელ ხუცუბანსა და ქობულეთს შორის

სამხედრო ხიდის მშენებლობისას აღმოჩენილმა ბრინჯაოს ცულებმა, აგრეთვე, ციხისძირის მიდამოებში მესანგრეების მიერ ნაპოვნმა ქვის „კუბომ“ და სოფელ კვირიკეში – მარმარილოს „კუბომ“ გიორგი წერეთლის დიდი ინტერესი გამოიწვია. ამ აღმოჩენების შესახებ მან ინფორმაცია გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში.“ [12, გვ.2] გიორგი წერეთლის მითითებით, ბათუმიდან ჩამოსულმა სომეხმა პიროვნებამ, რომელიც იქ იმყოფებოდა ომის პერიოდში, მოუთხრო მას ოსმალების მიერ რამდენიმე ძველი საფლავისა და ეკვდერის აღმოჩენის შესახებ. მათ შორის გამოირჩეოდა მარმარილოს ქვით ნაგები ახალგაზრდა ქალის მდიდარი საფლავი – სახურავის ფილაქანზე ქართული წარწერით. იქ აღმოჩენილი ოქროსა და ვერცხლის ნივთები ოსმალებმა დაიტაცეს და საფლავი დაარბიეს. ამ ძეგლების შესწავლის წინასწარული შედეგები მან V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე მსჯელობის საგნად გამოიტანა. [6, გვ.24]

საუკეთესო შემფასებელი გიორგი წერეთლის ღვაწლისა იყო აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. გ. წერეთელს ექვთიმე თაყაიშვილი გიმნაზიის წლებიდან იცნობდა. სოფელ ლიხაურში, მასთან პირველი შეხვედრისთანავე, ექვთიმე თაყაიშვილმა იგრძნო გიორგი წერეთლის უდიდესი პატრიოტული სულისკვეთება და მასში საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი პიროვნება დაინახა. [5, გვ.286] ექვთიმე თაყაიშვილი სამეცნიერო მოღვაწეობის დანყებიდან მას უფრო დაუახლოვდა. მათი ხშირი შეხვედრები გულწრფელ მეგობრობაში გადაიზარდა. ექვთიმე თაყაიშვილმა მწვავედ განიცადა დიდი ქართველი მოღვაწისა და მეგობრის გარდაცვალება. გიორგი წერეთლის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და აქტიური თანამშრომელი საქართველოდან ექვთიმე თაყაიშვილი იყო. [9, გვ.65]

ექვთიმე თაყაიშვილი თავის მოგონებებში გ. წერეთელს მოიხსენიებს როგორც არქეოლოგს. მისი სიტყვებით: „გიორგი წერეთლის რეფერატი V საარქეოლოგიო კრებაზე თბილისში ყველა სხვა ქართულ რეფერატს სჯობდა. იგი იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი და არქეოლოგიურ მოგზაურობას აწარმოებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში“. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, გიორგი წერეთელი სხვა იმდროინდელი მოღვაწეებისაგან „განირჩეოდა“ იმითაც, რომ „კარგად იცოდა ჩვენი ძველი მწერლობა და შესანიშნავად კითხულობდა ხუცურ ხელნაწერებს.“ [4, გვ.462].

გიორგი წერეთელს მეტად ნაყოფიერი ურთიერთობები აკავშირებდა იმდროინდელ სხვა საზოგადო მოღვაწეებთან და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მეცნიერებთანაც.

შესანიშნავად შეაფასა გიორგი წერეთელმა დიმიტრი ბაქრაძის სამეცნიერო ღვაწლი. დ. ბაქრაძის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან აღნიშნა: „ჩვენთა წინაპართა დიდებული წარსული შენამდის ბნელით იყო მოცული, პირველად შენმა მეცნიერულმა კვლევამ განფანტა ეს წყვდიადი და ნათლად დაგვანახა უძველესი დროიდან მათი გონებითი წარმატება.“ [14, გვ.2] გიორგი წერეთელმა დიმიტრი ბაქრაძე შეაფასა, როგორც „დიდი ნიჭით შემკობილი ისტორიკოსი“, მას „წარჩინებული საქართველოს მუშაკი“ უწოდა და უკვდავება უწინასწარმეტყველა. [14, გვ.3]

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გიორგი წერეთლის დამოკიდებულება ცნობილი ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსესადმი. 1894 წელს ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში – „ვინ ააშენა გელათი“ იგი აღიარებს, რომ გელათში სამუშაოდ წასულს დიდი დახმარება გაუწია მარი ბროსეს ნაშრომებმა, [18, გვ.13] თუმცა, მან გარკვეული კომენტარები გაუკეთა მარი ბროსეს მიერ წაკითხულ ტექსტებს. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი წერეთლისა და მარი ბროსეს მიერ რამდენიმე ხელნაწერის ამოკითხვისას აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაინც ორივე მეცნიერის მცდელობა ამ საქმეში წინგადადგმული ნაბიჯია. მათ კარგად ესმოდათ ძველი ხელნაწერების განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ისტორიული წარსულის შესწავლის ერთ-ერთი წყარო.

მარი ბროსესადმი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატულება იყო გიორგი წერეთლის მიერ მის პანაშვიდზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“. [13, გვ.12] გიორგი წერეთელმა მარი ბროსე აღიარა საქართველოს „არხეოლოგიის მამამთავრად“, რომელმაც სტიმული მისცა ქართველებს შეესწავლათ თავისი მდიდარი ისტორია. გიორგი წერეთელმა მაღალი შეფასება მისცა მარი ბროსეს მოღვაწეობას. მისი სიტყვებით, მარი ბროსე, „გვართ ფრანცუზი, სარწმუნოებით კათოლიკე, გულით ქართველი და ქველმოქმედებით კაცობრიობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მას, როგორც მეისტორიეს, პირველი ადგილი უჭირავს საქართველოს მეისტორიეებს შუა. ის არის დამაარსებელი საქართველოში ისტორიულის მეცნიერებისა“. [13, გვ.12] გიორგი წერეთელმა მადლობა მიუძღვნა საფრანგეთის ერს, რომელმაც გამოუგზავნა თავისი წარჩინებული შვილი საქართველოს „მეცნიერების მოციქულად და საქართველოს დიდებული ბედის წინასწარმეტყველად“. გიორგი წერეთლის მითითებით, მარი ბროსემ არა მარტო შეისწავლა ქართული ენა და საქართველოს ისტორია, არამედ საქართველო გააცნო მთელ მსოფლიოს. მისი აზრით, „ევროპის სახელმწიფოების თვალში ბროსეს შრომით მოგვეცა

დიდი ფასიო“. ამას ცდლობდა გიორგი წერეთელიც. საქართველოს ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლებზე სტატიებსა და გამოკვლევებს ის სპეციალურად ბეჭდავდა არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ პრესაშიც, რადგან ევროპისათვის საქართველოს უძველესი კულტურის გაცნობის შესაძლებლობას რუსულ პრესაში ხედავდა. [20, გვ.140]

ჟურნალი „კვალის“ ფურცლებიდან გიორგი წერეთელი გვამცნობს: „ევროპის განათლებული ერები თანდათან დიდ ყურადღებას აქცევენ კავკასიას და კავკასიის ნიადაგზე უძველესი დროიდან დაბინავებულ ერებს, მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს კულტურული მხრით ქართველებს“. [19, გვ.10]

გიორგი წერეთელი უდიდეს შეფასებას აძლევს ა.ს. უვაროვს, რომლის თაოსნობით ჩატარდა V არქეოლოგიური ყრილობა თბილისში. გ. წერეთლის სიტყვებით: „იმდროინდელმა გამოძიებამ დაარწმუნა რუსეთი და ევროპა, რომ კავკასიაში ყოფილა კვალი ძველის მსოფლიო განათლებისა და ამხრით საქართველო-სომხეთს ვერცერთი ვერ შეედრება. აქ ჯერ ცოტა რამ არის შესწავლილი, მაგრამ რაც არის ისიც თვალსაჩინო ნათელს ჰყვენდა აქომომდე აუხსნელს შემთხვევებს მსოფლიო ისტორიაში“. [16, გვ.9]

გიორგი წერეთელი უსაყვედურებს თანამემამულეებს, რომ თავისი წარსულის ქვეყნის გარეთ გატანის საქმისათვის ცოტას ზრუნავენ. იგი იმდროინდელი რუსული პრესისათვის მეტად პოპულარული მწერალი და მეცნიერი იყო. თავისი სტატიებით და გამოკვლევებით რუს მკითხველებს ესაუბრებოდა, როგორც დიდი კულტურული წარსულის მქონე ერის წარმომადგენელი.

გიორგი წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობამ დიდი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამას მეტყველებს უამრავი გამოხმაურება უცხოეთიდან, რომელიც გამოიწვია გიორგი წერეთლის გარდაცვალებამ. ინგლისური ყოველკვირეული გაზეთი „Spectator“ (1900 წლის მარტი) ათავსებს ცნობას გიორგი წერეთლის გარდაცვალების შესახებ. წერილის ავტორია ვოგაჰამ ვილიამსი. ეს წერილი ითარგმნა და დაიბეჭდა „კვალში“. წერილში ვკითხულობთ: „ინგლისელს, რომელსაც ცოტაოდენი რამე მაინც გაუგონია კავკასიის და მის მცხოვრებთა შესახებ, დიდათ შეაწუხებს გიორგი წერეთლის გარდაცვალების ამბავი... მისი ისტორიული და არქეოლოგიური გამოკვლევები ცნობილია, საზოგადოდ ის მომხრე იყო პროგრესისა“. [3, გვ.265] ჟურნალი „კვალის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე ინგლისელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — მარჯორი უორდროპის დეპეშა. [11, გვ.63]

ვრცელი სტატია გამოქვეყნდა „კვალში“ სათაურით „გიორგი წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი“, სადაც ნათქ-

ვამია: „გიორგი წერეთელმა საუცხოვოდ შეისწავლა არქეოლოგიური კვლევის ნესები, ძველი წარწერების და პერგამენტების გაშინჯვა და დაფასება, 1891 წლიდან ის ითვლებოდა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრად“. [7, გვ.46]

ქართული კულტურის მოღვაწემ პეტრე უმიკაშვილმა გ. წერეთლის დასაფლავების დროს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ „ფილოლოგია და არქეოლოგია, ისტორია და ბუნებისმეტყველება, ჟურნალისტიკა და ლიტერატურა, ყველაფერი ეს წარმოადგენდა გიორგი წერეთლის ცხოვრების საგანს“. [10, გვ.37]

გიორგი წერეთელი არამარტო მწერალი და ჟურნალისტი, საზოგადო და ეროვნული მოღვაწე, არამედ საქართველოს უძველესი მატერიალური კულტურის დიდი მკვლევარიც იყო. მის ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება და აქტუალობა.

### ლიტერატურა

1. გამყრელიძე გ., საქართველოში არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, — საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ. 1991, გვ. 12-45.
2. გამყრელიძე გ., ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან (ორგანიზაციული განვითარების გზა), თბ., 1996.
3. ვილიამსი ვ., დეპეშა გ. წერეთლის გარდაცვალების შესახებ, თარგმანი ინგლისურიდან, — „კვალი“, 1900, №17.
4. თაყაიშვილი ე., გიორგი წერეთელი, — დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები. თბ., 1991, გვ. 460-462.
5. თაყაიშვილი ე., რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968.
6. იოსელიანი ა., ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973.
7. მახარაძე ფ., გიორგი წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი. — „კვალი“, 1900, №3.
8. ნადირაძე ჯ., ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
9. სურგულაძე ა., ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ., 1977.
10. უმიკაშვილი კ. გ. წერეთლის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვა. — „ივერია“, 1900, №13.
11. უორდროპი მ. გ. წერეთლის გარდაცვალების გამო გამოგზავნილი დეპეშა. — „კვალი“, 1900, №3.
12. წერეთელი გ. ინფორმაცია ძველი საფლავების შესახებ. — „დროება“, 1878, №33.

13. წერეთელი გ., სიტყვა წარმოთქმული გ. წერეთლის მიერ მ. ბროსეს პანაშვიდზე ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესიაში 8 სექტემბერს. — „დროება“, 1878, IX, №192.
14. წერეთელი გ., სიტყვა თქმული ბ-ნ გიორგი წერეთლის მიერ განსვენებულ დ. ზ. ბაქრაძის დასაფლავებაზე — „ივერია“, 1890, №33.
15. წერეთელი გ. მოდინახე. — „კვალი“, 1893, №3.
16. წერეთელი გ. მოქვის მონასტერი. — „კვალი“, 1983, №16.
17. წერეთელი გ. როგორ აშენდა გელათი. — „კვალი“, 1894, №12.
18. წერეთელი გ. ვინ ააშენა გელათი. — „კვალი“, 1894, №13.
19. წერეთელი გ. ჩვენი მოვალეობა. — „კვალი“, 1895, №20.
20. ჭილაია ა. გიორგი წერეთელი, თბ., 1964.
21. ხოშტარია ნ. ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. — ვანი I, თბ., 1972, გვ. 81-93.
22. Церетели Г. Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью. — Материалы по археологии Кавказа, вып. VII, 1898, с. 82-110.
23. Церетели Г. Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастыря. — Древности Восточные, 1891, т. I, с. 223-282.
24. Церетели Г. Заметки о курганах по Рионской долине. — Протоколы Подготовительного комитета к V археологическому съезду, Москва, 1881, с. 333-337.



Manana Razmadze

### **Georgian Writers at the Sources of Archaeological Studies (G. Tsereteli)**

Georgian writers and public figures of the 1860s showed immense interest in bringing to light and studying remains of Georgian material culture. In this respect, Giorgi Tsereteli – a writer, publicist, philologist, critic, naturalist and simultaneously – a historian, archaeologist, deserves special attention. G.Tsereteli left a certain imprint on the development of Georgian archaeology as a scholarly discipline and therefore his activities stand in need for special study.

On the instructions of the Moscow Imperial Society, during the preparatory period of Tbilisi fifth archaeological congress, Giorgi Tsereteli carried out archaeological excavations in the yard of the Gelati monastery. He discovered important archaeological material of the 10<sup>th</sup>-12<sup>th</sup> centuries; according to his conclusion, a more ancient and higher culture than that of the so-called Byzantine period was revealed here. Along with archaeological finds, Giorgi Tsereteli studied written historical sources preserved at the Gelati monastery; he offered a new description of manuscripts, epigraphic material; compared the results of his studies with other scholars' works, where he, versed in the *khutsuri* (ecclesiastical) script, traced numerous inaccuracies and also discovered many new epigraphic sources.

Giorgi Tsereteli made a great contribution to the study of antiquities of the Qvirila valley. He described the Katskhi monastery, the Mghvime monastery, the Savane basilica, the ruins of the Ekhvevi church, as well as ruins of other churches and temples; studied Georgian inscriptions, frescoes; dated and published them.

During the preparation of the fifth archaeological congress, Giorgi Tsereteli presented a paper on the archaeological studies of the Rioni valley, at the meeting of the preliminary committee, on November 18, 1880 in Tbilisi. G.Tsereteli also paid special attention to the archaeological finds of Khutsubani, Tsikhisdziri, Kvirike and reported on the results of his studies to the congress.

G.Tsereteli had very fruitful contacts with public figures and scholars of that period interested in the history of Georgia. His relation with Marie Brosset is especially noteworthy. Brosset's publications rendered G.Tsereteli great assistance during his work at Gelati. The speech made by G.Tsereteli at Brosset's funeral was the expression of his great love and respect to the late scholar. G.Tsereteli declared Marie Brosset as the "patriarch of Georgia's archaeology", who gave Georgian figures a stimulus to study better their own history and culture.

Giorgi Tsereteli's scholarly activities played an important role in the popularisation of the ancient cultural past of Georgia. His works retain their scholarly value and urgency to the present day.